ხელშეკრულება № 41
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 15.12.2016 წელი

1. ზოგადი დებულებანი
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა" და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთი მხრივ, სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი (შემდგომში – დამკვეთი) მისი დირექტორი მერაბ ჩუხუა და, მეორე მხრივ, შპს „საარი" დირექტორი ლევან თითმერია (შემდგომში – შემსრულებელი) ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წიგნი "უბიხური ენა" ბეჭდვითი მომსახურებას.

| დასახელება | რაოდენობა | ერთ. ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|
| წიგნი **"უბიხური ენა"** | 150 | 3.80 | 570 ლარი |
| | | | |
| სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით | | | 570 ლარი |

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 570 (ხუთას სამოსდაათი) ლარს და 00 თეთრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2 ბ) **CPV კოდი – 79800000, 79820000** აწყობა დაკაბადონება, ბეჭდვასთან დაკავშირებული მომსახურება.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი
5.1. ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება ლარებში, ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
5.2. ანგარიშსწირება დამკვეთის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ათი საბანკო დღის ვადაში.
5.3. ანგარიშსწორების ადგილია ქ. თბილისი.

6. ფასები
6.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
6.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
7.1. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრისმ მთ. ბუღალტერი ირმა გაგუა.
7.2. შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

8. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია
შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიღება წარმოებს ეტაპობრივად დამკვეთის მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
9.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების პარალელურად, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა დამკვეთისთვის (ხარჯთაღრიცხვა და ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
10.1. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი შესყიდვის ობიექტი. შემსრულებლის მოვალეობანი ნაკლის მქონე შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
10.2. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
10.3. დამკვეთი არ აგებს პასუხს შემსრულებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
10.4. შემსრულებელი არ აგებს პასუხს დამკვეთის მიერ მესამე პირების მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, დამკვეთი არ არის ვალდებული წარუდგინოს შემსრულებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა
შემსრულებელს არა აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები
13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, შემსრულებელმა წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს დამკვეთს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი
მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია გაფიცვების, ომის, წყალდიდობის, ხანძრის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის
15.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
15.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა
16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების

თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს [illegible] შესვლამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.5 დამკვეთს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ დამკვეთისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6. ამ მუხლის 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს მომწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება გადაწყდეს მხარეებს შორის მოლაპარაკებების საფუძველზე.
17.2. თუ დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

**18.1.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.
1.8.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი გადეცემა მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები:

*მყიდველი:* სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი
*კოდი:* 202466232
*მისამართი:* ქ. თბილისი მკვრის მარჯვენა სანაპირო №4 ტელ. 2 30 51 16
მიმღები ბანკი „სახელმწიფო ხაზინა“
ბანკის კოდი TRESG22
ა/ა 708057159

დირექტორი მ. ჩუხუა

*მიმწოდებელი:* *შპს " საარი"*
*კოდი:* 202 164 157
*მისამართი:* თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
მიმღები ბანკი სს „ პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი MIBGGE22
ა/ა GE28PC0133600100036391

დირექტორი ლ. თითმერია